საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2001 2015 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთები.

2. ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს:

ა) ამ განკარგულების დანართის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული უძრავი ნივთების გაზგამზომი და წნევის დამგდები

სადგურის სამშენებლო-საცხოვრებელი ბანაკის მშენებლობის მიზნით გამოყენება;

ბ) ამ განკარგულების დანართის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებში მითითებული უძრავი ნივთების გაზსადენის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

				დანართი
№	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)
1	61.13.31.128	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	978
2	61.13.31.129	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	2706
3	61.13.31.130	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	695
4	61.13.31.131	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	239
5	61.13.31.095	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	46

6	61.13.31.096	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	276
7	61.13.31.097	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	480
8	61.13.31.226	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	26
9	61.13.31.227	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სხნავი)	47